# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლ'ში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

### ტფილისი, 27 ოქტომბერი.

—

კავკასიის მთავარ-მართებლის შუამდგომლობა, რომ ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმე სამხედრო წესით იქნას გარჩეული— უმაღლესად ნება დართულია, და ამიერითგან მთავარ-მართებელზეა დამოკიდებული სამხედრო სამართალში მიცემაცა დამნაშავეთა და სამსჯავროს განაჩენის დამტკიცებაცა.

ამასთან გამოცხადებულია, რომ ეს განსხვავებული წესი დარჩება ჩვენს ქვეყანაში იმ დრომდე, სანამდის ავაზაკობა არ მოისპობა.

ასეთი განკარგულება უმაღლესის მთავრობისა, რასაკვირველია, დიდად საყურადღებოა და საზოგადოება კარგად უნდა ჩაუფიქრდეს თავის ეხლანდელ მდგომარეობას.

მართალია, მართებლობის მოვალეობაა დაიცვას ქვეყანა ბოროტ და გზაცდომილ კაცთაგან; მართალია, მმართებლობა ამა თუ იმ დროს ხმარობს იმ ღონისძიებას, რომელიც საუკეთესოდ მიაჩნია ხალხში მშვიდობისა და ნორმალურ ცხოვრების დასამყარებლად. მაგრამ, არ არის ცასქვეშეთ ისეთი ყოვლის შემძლებელი მმართებლობა, არ არის მოგონილი ჯერ ისეთი წესი და წყობილება, ისეთი კანონი, რომ მმართველთა მხოლოდ თავის თავად შესძლონ ქვეყანაში მშვიდობა და ბედნიერება დაამკვიდრონ.

ყოველი მეცადინეობა, ყოველი საშვალება, ყოველი განსხვავებული ღონისძიება და წესი უმნიშვნელო და უქმი იქნება, თუ თითონ ხალხი, სადაც ავ-კაცობა ხდება, არ მიიღებს ღონისძიებას, დაიფაროს თავისი თავი და წინააღმდეგობას არ გაუწევს ქვეყნის დამამცირებელ სიავეს!

ეხლა ჩვენ არა გვაქვს ხელთ შედარებითი სასტატისტიკო ცნობანი იმისა, თუ რაოდენია პროცენტი ამა თუ იმ დანაშაულობისა ჩვენში და სხვა ქვეყნებში.

მაგრამ ამ ჟამად ჩვენთვის ეს ცნობანი, კიდევაც რომ გვქონდეს, მეტია, რადგანაც მმართებლობამ უკვე იცნო სასიკეთოდ კავკასიაში შემოღებულ იქნას სამხედრო სამართლით გასამართლება ბრალდებულთა, როდესაც საჭიროდ დაინახავს.

ყოველს მოვლენას აუცილებლად თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ როდესაც კაცს უბედურება ეწვევა, მაშინ მიზეზის გამოკვლევით ვერას უშველის—ამისთვის საჭიროა მოცლილი და მშვიდობიანი დრო. ხოლო გაჭირების დღეს დროებით ღონისძიება სახმარია საჩქაროთ და დაუყოვნებლივ. მართალია ასეთი საშვალება ძირიანად ვერ აღმოჰფხვრის ცუდსა და ბოროტ ნერგს, მაგრამ საქმეს მაინც სამსახურს გაუწევს და, ცოტა არ იყოს, საზოგადოების ცხოვრების მიმდინარეობას თავის ქერქში ჩააყენებს.

ამ საგანზედ ჩვენ გვქონდა ამას წინად საუბარი ბატონ ქუთაისის გუბერნატორთან, რომელიც დიდად შეწუხებული იყო უკანასკნელად მომხდარ ავაზაკობის გამო ქუთაისის გუბერნიაში.

პატივცემული გენერალი იმ აზრისა არის, რომ ძველი ქართული ავტორიტეტი და გავლენა გვარში ხელახლავ იმ სიმაღლემდე უნდა იქნას აღყვანილი, როგორც ეს იყო წინად. ამ სახით პატივცემულნი და გავლენის მექონნი წარმომადგენელნი გვარისა, ოჯახისა, შესძლებენ აარიდონ ავკაცობას ზოგიერთნი უსაქმურნი ახალგაზრდანი, რომელთ წყალობით ჩირქი ეცხობა მთელს ერს.

ჩვენ სრულიად თანაუგრძნობთ ამ გონიერს აზრს ბ-ნ გუბერნატორისას, და გვგონია, რომ ამ ჟამად ეს ერთად-ერთი ღონისძიებაა ჩვენთვის მოსახერხებელი, რომელიც, უეჭველად, სასიკეთო იქნება საზოგადოებისათვის.

მაგრამ საჭიროა საზოგადოებამ თითონ აარჩიოს სანდო და პატივცემული კაცები, რომელთაც დაევალებათ თავის საეჭვო წევრთა მოვლა და კეთილ გზაზე დაყენება. ხოლო, როგორც უნდა იქნას ეს საქმე მოწყობილი, რა საშვალებანი უნდა იქნას ხმარებული, ამისი გამორჩევა დამოკიდებულია თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა კრებულისაგან, რომელიც შეუდგა საქმეს ბ-ნ გუბერნატორის ხელ-მძღვანელობით.

ჩვენ იმედი გვაქვს, ნამეტურ ეხლა, როდესაც კავკასიაში განსხვავებული განსამართლება უკვე ცნობილია მმართებლობისაგან შესაძლებელად, ჩვენი მარშლები და დეპუტატები გულ-მხურვალედ მოეკიდნენ ამ საქმეს და ერთად ქუთაისის გუბერნატორთან გამოარკვიონ, როგორ ააშორონ ქვეყანას ის სამწუხარო რეპუტაცია, რომელიც დღეს აქვს მოპოვებული.

როდესაც ერი და მმართებლობა ირჩევს კაცს, ქვეყნის მოსავლელად, ამ რჩეულთა წმიდა და აუცილებელი მოვალეობაა, ყოველი ღონისძიება იხმარონ, ქვეყანასა და მის ვითარებას ერთგულად და მხნედ უწინამძღვრონ.

ჩვენ იმედი გვაქვს სწორედ ამ გვარს ერთგულებასა და მხნეობას გამოიჩენენ ისინი, ვისგანაც ხალხი მოელის პატრონობას.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ, 27 ოქტომბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი იქმნა გადახდილი გარდაცვალებულის კომპოზიტორის პ. ი—ძე ჩაიკოვსკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის იყვნენ ტფილისის კომენდანტი გენერალი ერნსტი, კავკასიის სასწავლებლების ოლქის მზრუნველი ტაინი-სოვეტნიკი იანოვსკი, სასამართლო პალატის თავმჯდომარე, ტფილისის თეატრების არტისტები და სხვანი. ამის გამო ამ დღეს დანიშნული წარმოდგენები საარტისტო საზოგადოებაში და სამუსიკო წრეში გადადებულ იქმნენ მომავალ კვირამდე.

*** С.-Пет. Вѣд. იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა ახალი პროექტი საადგილ-მამულო ბანკთა-მიერ მამულის დაფასებისა.

*** ბორჯომი: წელს აქ საგარაკოდ ხალხი ცოტა იყო მოსული და ბევრს გაუცვდა დიდი იმედები ქონების შეძენისა. ეჭვი არ უნდა, მომავალ წლისთვის დიდძალ ხალხს უნდა მოველოდეთ ბორჯომში, რადგან იმ დროსთვის ახალი რკინის გზა უეჭველად მზად იქნება. ამ ჟამად ბორჯომიდგან დაწყებული თითქმის ხაშურამდე ჭიანჭვლებივით დაჰხვევია მუშა ხალხი ამ გზის მუშაობას. მიწის მუშაობა თითქმის გათავებულია და, რაც დარჩა, იმასაც ორი სამი კვირა ეყოფა. კლდეები, სადაც დახვდა, ყველგან განგრეულია და ორგან სამგან ბერძნები ეხლა არღვევენ კლდეებს ნალმით. საკვირველია, რომ ამ გვარს საქმეში ბერძნებისთანა ოსტატი ველარავინ გამოვიდა. ქვის მუშაობა თითქოს ამ ბერძნების ეროვნული ნიჭი იყოს. აგერ ყველგან ბოგირებსაც ბერძნები აშენებენ. ბორჯომის ვიწრო ხეობას გამოდიხართ თუ არა, ქვაშხეთის არემარე იშლება და აი სწორედ იმ ალაგას, რომელსაც უწინ ბორჯომის და სამცხე-საათაბაგოს კარებს ეძახდნენ და ეხლაც ეტყობა აქ მაღლობზე ძველი ნაშენი საყარაულო კოშკი, სწო-

## ფელეტონი

—

### ჯავახეთი

(ახალ-ქალაქის მაზრა)

მგზავრის შენიშვნები

(შემდეგი *)

კოჭიოდგან სოფ. ბარალეთამდე სულ ნახევარ საათს მოუნდით. მშვენიერი დარი და კარგი ვაკე გზა ხელს გვიწყობდა ამ სასიამოვნო გასეირებაში.

სოფ. ბარალეთი ძრიელ ძველის ძველი სოფელია, რომელიც თითქმის ჯავახეთის დაარსებასთანავე გაშენებულა. მცხოვრებნიც ძირეულნი მკვიდრი ჯავახნი არიან, აბორიგენები ამ ქვეყნისა. ოდესმე აქ ჯავახეთში გაძლიერებულ და მძლავრ ქართველების ცხოვრების ცოცხალ მოწმად ერთი მუჭა ქართველობა-ღა დარჩენილა, რომელიც რაღაც სასწაულით გადარჩომილა ოსმალების აქ მძვინვარებას. ქება და დიდება ამათი, რომ რის ვაივაგლახით დაუცხნიათ თავი გათათრებისაგან და ათასის გაჭირებით დაუცავთ სამშობლო ენა და სარწმუნოება. როგორც ძველი კაცები მოგახსენებენ, ვინც აშკარად აღიარებდა ქრისტეს სარწმუნოებას, ის სახელმწიფო ხარჯს ერთი-ორად იხდიდა. ბევრნიც, სიცოცხლე რომ გაუჭირდებოდათ, გარეგნობით მუსულმანობდნენ, მაგრამ საიდუმლოდ-კი ისევ მტკიცე ქრისტიანეთ რჩებოდნენ. ამ საიდუმლო აღმსარებელთ ერთი მამაცი საროელი მღვდელი ჰყოლიათ, რომელიც ოსმალურად იცვამდა თურმე ტანთ და ძრიელ ქაჯი კაცი იყო. ეს გამბედავი მღვდელი ყოველსავე საეკკლესიო წესს საიდუმლოდ უსრულებდა ქრისტესათვის საიდუმლოდ ტანჯულ ქართველებს, ეხლაც ბევრს ახსოვს ეს თავგანწირული სულის მამა, რომელიც დიდი ჩიბუხით ხელში და ოსმალურ ჩალმით სოფელ სოფელ დააჭენებდა, ღამ-ღამე ჰნათლავდა ახლად დაბადებულთ და ღამევე უგებდა ანდერძს მოლებთაგან დამარხულ გარდაცვალებულ ქართველთ. არც ერთს დიდმარხვას არ გადააცდენდა ისე, რომ ვისთვისმე ზიარება დაეკლო.

ამ გვარად ბევრი ქართველობა ქრისტიანულ მარხვებსაც ინახავდა და მაჰმედის რამაზანსაც.

ამ რამდენისამე წლის წინად მე თითონ ვიყავ მოწმე ამ გვარ ბაასისა. სოფ. ზემო-ოშორაში ბეგმა ქართულად ჰკითხა ერთ ქართველ გამაჰმადიანებულ დედაკაცს: „დედი, რაზედ იჭირებ საქმეს, რომ ჩვენის მაჰმადის მარხვასაც ინახამ და ქრისტიანების მარხვასაცაო“. ამაზედ დედაკაცმა ქართულადვე მიუგო: „რავქნა, შენკი გეყურბანე, ფაშა, ნამდვილი ვინ იცის, სამოთხის კართან ქრისტე სდგას, თუ მაჰმედი და მეც იმიტომ მინდა ერთის გულიც მოვიგო და მეორისაცაო“.

ამავე სოფელ ზემო-ოშორაში (ახალციხის მაზრაშია, ასპინძის ახლო) გამაჰმადიანებულმა ქართველებმა ჭიაკოკონა იციან, წითელ პარასკევს კვერცხებს ჰღებავენ და ერთმანერთს უკრავენ, სააღდგომოდ ჰონაზე დადიან, პურის გუნდებს ჯვარს უკეთებენ, ფურნეში რომ შესვამენ ხოლმე, და როცა ავად ვინმე გაუხდებათ, წმიდა სანთლებს ჩამოჰქნიან და წმ. ელიას, რომლის საყდარიც სოფლის თავშია აშენებული, უნთებენ და ელიაობას ციკანსაც უკლამენ მსხვერპლად.

ბეგმა ფალავანდიშვილმა მიამბო, პაპა ჩვენი ახალქალაქის სანჯას ბეგი იყოო და იმისაგან გვაქვს გაგონილი ძველი ამბავიო.—იმ საიდუმლოთ ქრისტიანებს პაპა ჩვენი ძრიელ მფარველობას უწევდაო. როცა შევატყეთ, რომ გუსეინა მიქელაძე საეჭვო მუსულმანიაო, რადგან ექვსი-შვიდი ვაჟია იმის ოჯახში ჯერეთ დაუცვეთელიო, გუსეინა მაშინათვე ხვეწნას დამიწყებდა, შენიჭირიმე, ფაშა, ხომ იცი, რა დიდი ხარჯია საჭირო მოლებსა და წვეულების გამართვაშიო და ცოტა დამაცალეთ, წელს ცუდი მოსავალი იყოო და შემდეგისთვის იყოსო.—ამ გვარად მითომ ხარჯისა ეშინოდა, მაგრამ მიზეზი-კი ხშირად ის იყო, რომ ის ვაჟები უკვე ქრისტიანებად იყვნენ ხოლმე დანათლულებიო. ერთხელ ერთმა ბეგმა თავი გამოიდო და ვიღაც ალია ბარამიძესთვის ეთქვა მე ვიქმნები შენი ნათლია და ხარჯსაც მე ვიკისრებო, შენ მხოლოდ ბიჭები მოამზადე და მოლებსაც დაუძახეო. ალია ბარამძე მაშინათვე ჩემთან მოვარდა და დეკეულიც ძღვნათ მომართვა, შენიჭირიმე ფაშა წელსაც დამაცალეთ და მერე მე თითონ დაუძახებ მოლებსაო. მე იმ ბეგს დაუძახე და უთხარიო, კაცო რა შენი საქმეა, დააცადე თავის ნებაზე თითონ მოინათლებიანო.

რამაზანის დროს, როცა მითომ გათათრებულ ქართველობაში მოლა მივიდოდა, რომ მთელი ერთი თთვე ილოცოს, მაშინათვე ქართველებში ალიაქოთი შესდგებოდაო—მოუგრო-

*) იხ. „ივერია“, № 228.

რედ ამ ალაგას მტკვარზედ ხიდს აშენებენ და რკინის გზა, ბორჯომიდგან მტკვრის მარჯვნივ წამოსული, ამ ხიდის შემწეობით მარცხნივ გადაdის 'და ქვიშხეთის ველზე მიდის და ხაშურის სადგურს უერთდება. ის-კი ვერ შევიტყეთ, რად უნდოდა ხაშურთან შეერთება და რატომ აქვე ქვიშხეთის ახლო სადგურს არ შეუერთეს და შვიდ ვერსამდე მანძილი მოკლედ არ მოსჭრეს? მტკვრის ხიდის მარჯვენა ნაპირის ბურჯი უკვე გათავებულია, თლილი ქვით ნაშენი და ახლა მარცხენა ბურჯის მუშაობაში არიან და შუაგულისთვისაც ამზადებენ ალაგს და მაშინებით წყალს სწვრეტენ. ხიდის გარშემო ათას ნაირი მოწყობილება მაშინები და ბორანია და ათას გვარი მუშა-ხალხია. ამ გვარად გაზაფხულზე ნამდვილად გვექნება ახალი რკინის გზა, რომელიც დაუახლოებს ტფილისს ბორჯომსა, ახალციხეს და აბასთუმანს, აგრეთვე ახალ ქალაქიც ბორჯომის ქედიდგან სამოც ვერსის მანძილზედ-ღა დარჩება გზატკეცილით შეერთებული.

*** კახეთი: დადგა შემოდგომა და შეირყა ყოველი სიმშვიდე, მყუდროება... ხალხი არა ჩვეულებრივს მოძრაობაშია და უზომო ქეიფ-სიამოვნებას ეძლევა...

სწორედ შემოდგომას გახშირდება ხოლმე ჩხუბები, კაცის-კვლა, და სხვა უბედური შემთხვევა. მაგალითად, 19 ამ თთვეს სოფ. საბუეში (თელავის მაზრა) შემდეგი კაცის კვლა მოხდა: ამ სოფელში მცხოვრებელმა აზნ. თადეოზ ფიცხელაურმა თავის მეზვრე თომა კურდღელაშვილი დასჭრა მკლავში. დაჭრილი სისხლისაგან დაიცალა და რამდენისამე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ამავე დღეებში სოფ. გულგულში (თელავის მაზრა) სამს გლეხს მოსვლიათ ჩხუბი; საშინლად უცემნიათ ერთმანეთისათვის; ერთი მათგანი მძიმედ არის დაშავებული.

ქურდობამ-კი, ღვთის შეწევნით, თანდათან იკლო; ცეცხლის მოკიდება ჯერ კიდევ არ ამოიფხვრა. ამას წინად ს. ჭიკათში საბძელი და თივა დაუწვეს გაბრიელს და მიხა ქვაჭრელიშვილებს.

*** სოფ. ხიზაბავრა (ახალქალაქის მაზრა): ხიზაბავრელმა ქართველობამ კარგა ხანია გაათავა ჭირნახულის მუშაობა: პური და ქერი დააბინავა, ვენახები დაკრიფა, ზოგი ყურძენადვე გაჰყიდა და ზოგიც მაჭრად დააყენა. ხილიც წელს ძლიერ კარგ ფასად იყიდებოდა. თუმცა აქ ხერთვისსავით დიდძალი ხილი არა მოჰყავთ, მაგრამ მაინც გამორჩომა კარგი აქვს აქაურ გლეხს. ახლა ჩვენი ხიზაბავრელები მოედვნენ მტკვრის მარჯვენა ნაპირს, თითქმის შვიდ ვერსამდე და გაცხარებული მუშაობა სწარმოობს მთელის დღეობით. აქ, ამ წყლის ნაპირას, წყალში ოჩხებს ამზადებენ, რომ თევზმა მოიზამთროს. დიდ-მარხვაში ქუთაისიდგან მოდიან ვაჭრები და ერთი გაჩაღებული როველიც მაშინ აქვთ ხიზაბავრელებს; მაშინ სჩხრეკენ ოჩხებს და იჭერენ ხრამულ თევზს, რომელსაც აქვე ჰხარშვენ და გოდრებით ისტუმრებენ ქუთაისში. ჩვენი ხიზაბავრელები თითონვე ჩავრადრობენ კიდეც.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Русск. Вѣдом.“-ში დაბეჭდილია წერილი ერთის თვალის ექიმისა წერის შესახებ:

წერის სწავლის დროს საჭიროა მასწავლებელი ერიდოს დაფებისა და გრიფილების ხმარებას. ქაღალდსაც დიდი მნიშვნელობა აქვს წერისთვის. მოელვარე და თხელი ქაღალდი სრულიად არ ვარგა წერისთვის. რაც შეეხება მელანს, ძლიერ შავი უნდა იყოს. ბავშვს დიდხანს არ უნდა აწერინოთ, რადგანაც წერის დროს უმაწვილს ძლიერ მალე ეღალება თვალები და მთელის სხეულისთვისაც არ არის კარგი. საჭიროა ამიტომ ბავშვმა წერის დროს ხშირ მალ-მალე შეისვენოს.

**

ხელმწიფე იმპერატორის მიერ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან გაგზავნილ დეპეშის გამო „Figaro“ სწერს:

საფრანგეთ-რუსეთის კავშირი თავისთავად არსებობს, მიუხედავად სადიპლომატიო მოსაზრებისა და ამ მოსაზრებით სრულიად არ არის გამოწვეული.

„Journal Des Débats“-ი სწერს იმავე დეპეშის შესახებ:

ყოვლად შეუძლებელი იყო ისე მოკლედ და ისე მარტივად გამოთქმა ფრანგ-რუს კავშირის, მნიშვნელობისა როგორც ეს გამოსთქვა თავის დეპეშაში ხელმწიფე იმპერატორმა. ეს დეპეშა სრულიად საკმარისია მიანიჭოს საფრანგეთს კიდევ ახალი სიხარული, და ევროპას—მშვიდობიანობა.

ოფიციალური გაზეთი „Paix“ ამბობს, სხვათა შორის:

ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა ნათლად ამტკიცებს, რომ ამიერიდგან სამთა კავშირი იძულებულ იქმნება შეებას საფრანგეთისა და რუსეთის მშვიდობიანობის კავშირსა.

„Petit Journal“ ამბობს:

ჩვენ სრულიად ვენდობით სიბრძნეს რუსეთის მეფისას და იგიც ჩვენ გვენდობა. ჩვენ დავდგებით დარაჯად და ვიწყებთ ლოდინს.

გაზეთ „Journal“-ში ქ-ნი ადანი სწერს:

იმედი მაქვს, რომ საფრანგეთის დიპლომატები არ მოსპობენ იმას, რაც შექმნა სიყვარულმა.

საზოგადოდ ფრანგ-რუსეთ კავშირის გამო საფრანგეთის გაზეთები ყველანი მშვიდობიანობაზედ ლაპარაკობენ.

**

ინგლისის გაზეთი „Daily News“ სწერს:

იტალიასა და საფრანგეთში ჯერ ისევ დემონსტრაციებია. გუშინ მარსელში ალტაცებით ეგებებოდნენ რუსეთის აფიცრებს და სპეციაში—ინგლისისას. ეხლა ქვეყანა ცოტათი მოისვენებს, რადგანაც დემონსტრაციები მალე გათავდება. საფრანგეთში მხოლოდ პრეზიდენტი უნდა მივიდეს ტულონს. და იტალიაშიაც იქნება კიდევ ერთი ნადიმი გაიმართოს. დღესასწაულების შესახებ სხვა აღარა ითქმის-რა. თვით ფრანგების გამჭრიახ გონებას ახალი ვეღარა მოუხერხებია-რა. რაც შეეხება ინგლისსა და იტალიას, მათმა წარმომადგენლებმა ერთმანერთს ვიზიტი გადუხადეს და საქმე ამით გათავდა. ძლიერ კარგადაც მოიქცნენ, რომ ჩუმად იყვნენ. ლაპარაკს რომ მოჰყოლოდნენ, შეიძლება ან გადაეჭარბებინათ, ან ძლიერ ცოტა ეთქვათ. მაგრამ რაკი საფრანგეთი და იტალია ორთავენი კმაყოფილნი არიან თავიანთ სტუმრების დახვედრით, სასურველია მალე გათავდეს ეს წარმოდგენა და ფარდა დაეშვას.

**

სერბიის რადიკალთა დასის გაზეთი „Дневни Листы“-სწერს:

სერბია არასოდეს არ იტყვის უარს თავის უფლებაზედ და თავის სურვილზედ. იგი არასოდეს არ უღალატებს თავის პოლიტიკას. ჩვენი სურვილია სერბიის გაერთიანება და ამ წმინდა საქმეს შევსწირავთ ჩვენს ძალ-ღონეს და უკანასკნელს წვეთს ჩვენის სისხლისას. სერბიის ერს ძლიერ კარგადა აქვს შეგნებული ეს სურვილი და სკოლის შეგირდებმაცკი კარგად იციან, რომ თქვენ, ავსტრიელნი, წინააღმდეგნი ხართ ჩვენის სურვილის განხორციელებისა. თქვენ გსურთ შეიერთოთ ბოსნია და ჰერცოგოვინა და შემდეგ გასწიოთ სალონიკისაკენ და ამ განზრახვის დასამალად მოიგონეთ რაღაც ზღაპარი ვითომ და სერბიის აგიტაციაზედ. მაგრამ ჩვენ ადვილად მივხვდით თქვენს განზრახვას. ეხლა მხოლოდ ერთი ნაპერწკალია საჭირო, რომ თქვენი დამკვლებული სასახლე გადიბუგოს და ნაცრად იქცეს. ხოლო ჩვენ სერბიელნი, ახალგაზდა, მხნე ერი ვართ და ვფიქრობთ მხოლოდ ჩვენის მამულისა და ერის გაერთიანებაზედ. და ნუ თუ გგონიათ ჩვენს მომავალ ბედ-იღბალს ავსტრიას შევწირავთ? არასოდეს. ჩვენ იმდენად გავიმართჯეთ და დავწინაურდით ცივილიზაციასა და პოლიტიკაში, რომ ეხლა უკუ აღარ ვიქცევით და ჩვენს განზრახვასა და სურვილს ვეღარა შესცვლის-რა და ჩვენს გზას არამც და არამც არ გადუხვევთ.

**

სასულიერო ჟურნალ Церков. Вѣстникъ-ს ეკითხება ერთი მკითხველთაგანი: ნება აქვს სოფელს სამრევლო საქმეები განიხილოს სოფლის ყრილობაზედ, თუ არაო?

უწმ. სინოდის-მიერ 31 მაისს 1887 წ. გამოცხადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი, რომლითაც სოფელს აღკრძალული აქვს საერო ყრილობაზედ სამრევლო და საეკლესიო საგნებზედ იქონიოს მსჯელობაო, ანუ საერთო საჩივარი შეადგინოსო. ეს უფლება, იმავე ცირკულიარის ძალით, მინიჭებული აქვს სასოფლო მრევლსა. მომეტებულ ნაწილად-კი სოფლის საზოგადოება და სასოფლო მრევლი ერთი და იგივეა. მაშ როგორ უნდა გავიგოთ ეს ცირკულიარიო?

სასულიერო ჟურნალი უპასუხებს:

ეს ცირკული მართლა რომ ძნელი გასაგებია, იმიტომ მაინც, რომ „სასოფლო მრევლი“, სწორედ რომ ვთქვათ, არც კი არსებობს. ამ ცირკულიარით ხელმძღვანელობა კი ამ რიგად უნდა: სოფლის განაჩენი, ჩვეულებრივს წერით დაწერილი, სოფლის მოხელეთამიერ შემოწმებული, დავთარში ჩაწერით, მაშინ, როდესაც ამ განაჩენში საეკლესიო და სამრევლო საქმეებზეა ლაპარაკი, არამც თუ არ შეიწყნარება, არამედ ის მოხელენი, რომელთაც ამისთანა განაჩენი შეუმოწმებიათ, პასუხის გებაშიც მიეცემიან. ხოლო ის განაჩენები, რომლებიც კანონიერად არ არიან შემოწმებულნი და რომელზედაც ერთს სამრევლოს მოუწერია ხელი, მიიღებიან, როგორც კერძო კაცთა საჩივარი ანუ არზა.

ამავე ჟურნალს ერთი შეეკითხებია: როგორ უნდა ჩაიწეროს მეტრიკის წიგნის მესამე სვეტში—„ვინ ათქმევინა აღსარება და აზიარა“?. უკეთუ გარდაცვალებულისთვის ეს წესი არავის აუგია იმის გამო, რომ მღვდელი არ მისულა, რატომ ცხენი არ მომგვარეთო?

ჟურნალის რედაქცია ესე უპასუხებს:

ისე უნდა ჩაიწეროს, როგორც ნამდვილად ყოფილა: გარდაიცვალა უაღსარებოდ და უზიარებლად, მიზეზების ჩაწერა არ შეიძლება, რადგანაც მეტრიკის წიგნებში საამისო ადგილი არ არის. ხოლო ამისთანა შემთხვევა, უეჭველია, ბლაღოჩინისა და კონსისტორიის უურამდე მიაღწევს და ჯეროვანის წესით იქმნება გამორკვეული. მღვდელი ღირსეულ სასჯელს მიიღებს, თუ ქრისტიანული წესი არ აუგო მომაკვდავს იმის გამო, რომ ცხენი და ეტლი არ მიართვეს; რა-კი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვით რომ ამ ნაირის უარის თქმის უფლება მღვდელს სრულიადაც არა აქვს.

„Правительствен. Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან გაგზავნილი 16 ოქტომბერს:

იმ წუთს, როდესაც რუსეთის ეს-

ებდნენ ფულს, ხუთიოდე თუმანს და მისცემდენ მოლას—შენიჭირიმე, მოლა, ჩვენ გლეხ კაცნი ვართ, ეხლა მუშაობის დროა და ეს თქვენი გასამრჯელო მიიღეთ და ჩვენ-კი თითონ მოცლის დროს შინ ვილოცავთ ალახსაო.“

ამ ჟამად ჯავახეთში სულ ცამეტი სოფელი-ღაა, ქართველებით დასახლებული: ბარალეთი, ჭიხარულა, ბალანთა და კოტელია ერთ მღვდლის სამწყსოს შეადგენს; სარო, ვარგავი და ვარევანი ერთ სამწყსოს; ქილდა, მოგაშენი, აფნია, ჩუნჩხა და პრტენა კიდე ერთი სამწყსოა. ერთი სოფელიც, მურჯახეთი, ახალქალაქის მღვდელს აქვს მინდობილი. ამ სოფლებშიაც ქართველობა არეულია ან თათრებთან, ან სომხებთან ერთად, მხოლოდ სოფ. ბალანთაა დასახლებული 30 კომლამდე განსაკუთრებით ქართველობით. მთლად ჯავახეთში, ამ ცამეტ სოფელში, ქართველობა დაახლოებით 800 კომლამდე-ღა სცხოვრობს ე. ი. 4,000 სულამდე ორივე სქესისა. შედარებით რომ ავიღოთ ქართველობა აქ დანარჩენ მცხოვრებთან, აღმოჩნდება რო 6%-ს ვერც-კი შეადგენენ, რადგან ძველი ჯავახეთი (ეხლანდელი ახალქალაქის მაზრა) ამ ჟამად შესდგება 108 სოფლისაგან და თითქმის 70,000 (სამოცდა-ათი-ათასი) სული ცხოვრობს 2,332 ოთხ კუთხ ვერსის სივრცეზე, რომელნიც განიყოფებიან ბარალეთის და ბოლდანოვკის საბოქაულოდ. —მცხოვრებთა რიცხვში ნახევარზე მეტი (40,000) სომხობაა, რომელნიც აქ 1830 წელს გადმოუსახლებიათ არზრუმიდგან.

შემდეგ თათრები უნდა ჩავთვალოთ შვიდი-ათას სულამდე, რომელთა შორის ნახევარი გათათრებული ქართველები არიან და ამდენიც დუხაბორები. თითქმის შვი-

1830 წელს ეპისკოპოზმა კარაპეტმა 80—90 ათასს სულს სომეხს წამოუძღვა პასკევიჩის დროს და ამ მაზრებში დაასახლა (ახალციხის, ახალქალაქის და გუმრის მაზრებში).

მთავრობამ კომლზედ ხუთ-ხუთი თუმანი დაურიგა და ქერის და პურის თესლიც მისცა ყველას სამყოფი აგრეთვე შვიდს შეღიწადს ფოსტის ფული არ გამოართვა.

დი-ათას სულამდე შეადგენენ აგრეთვე ქართველი კათოლიკენი, რომელნიც სომეხ-კათოლიკებად არიან ჩათვლილი, თუმცა რამდენმამე სოფელმა, მაგალითად ხიზაბავრამ და სხვამ, სომხური ერთი სიტყვაც არ იციან და ქართულია მათი ენა იმ თავიდგანვე.

სოფ. ბარალეთში სამოცი კომლი ქართველი სცხოვრებს და თითქმის ამდენივე სომეხი. მხოლოდ ბარალეთში მცხოვრებნი სომეხნი ძველისძველადვე ქართველი სომხები არიან, ქართველ მეფეების დროს დასახლებულნი და არ ეკუთვნიან არზრუმიდგან ახლად გადმოსულ სომხობას. ბარალეთელ სომხობას დედა ენადაც ქართული ჰქონდათ, ვიდრე ამ მხარეში სომხების ელემენტი გაძლიერდებოდა. მაგრამ არც ეხლა არიან ძირეულად გასომხებულნი, რადგან ქართული უფრო ეხერხებათ, ვიდრე სომხური. მაგალითად, კოტელიაში, რომელიც ბარალეთზე ორის ვერსის მანძილზედ არის, სამიოდე კომლი ძველადვე ქართველი სომეხი სახლობს, რომელთაც სომხური ინჩიც არ იციან. დანარჩენი მცხოვრებნი-კი სოფ. კოტელიაში, სამოცდა-ათ კომლამდე სულ ქართველობაა.

საზოგადოდ ამ მხრის ქართველობა დედა ენას, ქართულს, მხოლოდ ერთმანერთში ხმარობენ, გარეთ-კი ყველას თათრულ ენაზედ ელაპარაკებიან, რადგანაც აქ თათრული ენა უფრო მეფობს.

საკვირველია, რომ დაბა ბარალეთში ძველი რამ დიდებული ნაშთი არა მოიპოვება-რა. მხოლოდ ეკკლესია არის ძველებური, ორიოდე სიტყვის წარწერით და ისიც წაშლილა ვილაცას ბეჯითობით, როცა ეკკლესიის კედლები გარედგან კირით გაუგლესიათ. აქვე ეკკლესიასთან ეტყობა ძველი გალავანი და, როგორც მკვიდრნი მოგახსენებენ, თათრობის დროს აქ მათ აბანოები ჰქონიათ და დასაჯერებელიც არის, რადგან თაღები ზოგან ეხლაც ეტყობა. სახელი ბარალეთი სწორედ რომ ზედ გამოჭრილია—დაცემული, ბარი ადგილია და ზედ შუაზე სოფელი დასახლებული.

ცხოვრება განუწყვეტელი ცვალებადობაა! ქართლოსის შთამოების აქ გაძლიერებული მეფობა ისლამმა შთანთქა და ისლამი—რუსთა ძალამ. კერპთა მსახურება ქართველთ წმინდა ნინომ შემუსრა და მოჰფინა ნათელი ქრისტიანობისა. ქრისტეს ჯვარი ოსმალომ დასთურგნა და ნათელი წყვდიადით შემოსა. გავიდა დრო და-ჟამი, ოსმალოს ძალა შეიმუსრა და მათგან ქრისტიანების ეკკლესიები, მეჩეთებათ გადაკეთებული, ისევ ქრისტეს სახლად გადაიქცა მაჰმედის სარწმუნოების ემბლემის მაგიერ (ნახევარ მთვარე) ისევ ჯვარი აღიმართა, რომელიც ამ ჟამად ჰმეფობს და ნათელსა ჰფენს აქაურობას.

კადრა საფრანგეთსა სტოვებს, სასიამოვნოდ მიმაჩნია გამოგიცხადოთ, რომ გულითა და სულით დამატკბო იმ მხურვალემა და დიდებულმა დახვედრამ, რომელიც ყველგან ჰპოვეს ჩემთა მეზღვაურთ საფრანგეთში და რომ გულით მადლობელი ვარ ყოველ ამისათვის. ეს საბუთები ცხოველის თანაგრძნობისა, ასეთი მჭევრმეტყველობით ერთხელ კიდევ დამტკიცებული, ახალი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომელიც აკავშირებს ორთავ ქვეყანას და იმედი მაქვს, ხელს შეუწყობს დამყარებას საზოგადო მშვიდობიანობისას, რასაც ორივენი ასე სცდილობენ და რისთვისაც ასე მონდომებულნი არიან.

აი პრეზიდენტის დეპეშაც:

დეპეშა, რომლისთვისაც მადლობელი ვარ თქვენის უდიდებულესობისა, მივიღე სწორედ მაშინ, როცა ტულონიდამ პარიჯს გავემგზავრე. საუკეთესო ესკადრა, რომლის რუსულს ბაირაღს დიდის სიამოვნებით მიესალმე საფრანგეთის ზღვაზედ, გულითადი და წრფელი დახვედრა თქვენთა მამაცთა მეზღვაურთა ყველგან საფრანგეთში, ხელახლად ამტკიცებს დიდის დაბეჯითებით, რომ თანაგრძნობა, რომელიც აერთებს ამ ორს ქვეყანას, ყოვლად გულ-წრფელია და ამასთანავე ჰმოწმობს, რომ ყოვლად სარწმუნოა ის, თუ რა კეთილი ნაყოფი მოსდევს ამ გარემოებასა, როცა ორი დიდებული ერი შეერთებულის ღონით სცდილობს მშვიდობა დაიცვას.

## სამაგიერო

რუსეთ-საფრანგეთის დღესასწაულებს არ ჩამოურჩნენ საფრანგეთის ქალებიც. ქ-მა ადანმა გამოუგზავნა რუს-ქალებს ადრესი საფრანგეთის ქალებისაგან. ადრესს ხელი მოაწერა საფრანგეთის 12,000 ქალმა. რა თქმა უნდა, რომ რუსის ქალებიც მოვალენი არიან სამაგიერო გადაუხადონ საფრანგეთის ქალებს.

საკვირველი არ არის ამიტომ, რომ რუსეთის ყველა კუთხიდგან ქალებმა თანაგრძნობისა და მადლობის დეპეშები გაუგზავნეს ქ-ნს ადანს.

მაგრამ ეს არ იკმარეს რუსის ქალებმა და ეხლა განზრახვა აქვთ გააკეთონ ხელოვნების ალბომი და გაჰგზავნონ საფრანგეთში. მთელი ალბომი უკანასკნელ ფურცლამდე ქალების-მიერ უნდა იყოს შედგენილი და გაკეთებული. ალბომის ფურცლებზედ დახატული იქმნება სხვა-და-სხვა სურათები მხატვარ ქალების-მიერ დახატული. გარდა ამისა ალბომში იქმნება ავტოგრაფები იმ ქალთა, რომელთაც თავი იჩინეს მეცნიერებისა, ლიტერატურისა, პედაგოგიკისა, ხელოვნებისა და საქველ-მოქმედო ასპარეზზედ. ამ ალბომის შედგენისთვის მოწვეულნი არიან ყველა დედათა სასწავლებელნი, საქველ-მოქმედო და სხვა საზოგადოებანი. ალბომისთვის გაკეთებული უნდა იქმნას ხელოვნურად ძვირფასი ყუთი, რომლითაც ალბომი გაეგზავნება საფრანგეთის ქალებს ქ-ნ ადანის სახელობაზედ. ჰფიქრობენ, რასაკვირველია, რომ ამ ალბომს ფრანგები პარიჟის რომელსამე საზოგადო მუზეუმში დაუთმობენ ადგილს.

## რუსეთი

სწავლა-განათლების სამინისტროსთან დაარსებულია კომისია ამ სამინისტროსა და ყველა იმ უწყებათა წარმომადგენელთაგან, რომელთაცკი თავისი სასწავლებლები აქვთ. ამ კომისიამ უნდა განიხილოს სამხედრო სამინისტროს პროექტი იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნას ის შეღავათი, რომელიც ეძლევათ სამხედრო სამსახურში წასაყვან ახალგაზდებს სწავლის კვალობაზედ.

სამხედრო სამინისტრო ამ აზრს დასდგომია: 1, საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ახალგაზდა მაღალ სასწავლებელში შესვლამდე უნდა იქმნას მიწვეული სამხედრო სამსახურში. კომისიამ უარჰყო ეს აზრი და მხოლოდ იმას დათანხმდა, რომ სამხედრო სამსახურში ის ახალგაზდა წაიყვანონ, რომელიც საშუალო სასწავლებლის დამთავრების დროს და მაღალ სასწავლებელში შესვლამდე 21 წლისაზე მეტი იქმნება; 2, სამინისტროს განუზრახავს მოსპოს სრულიად შეღავათი, რომელიც იმათ ეძლევათ, ვისაც სამაზრო და სამოქალაქო სასწავლებელი გაუთავებიათ. კომისიამ ეს აზრი სრულიად უარ-ჰყო; 3, სამინისტროს პროექტით სამხედრო სამსახური სავალდებულო უნდა იყოს სასოფლო და სამოქალაქო სკოლების მასწავლებელთათვის. სწავლა-განათლების სამინისტრო არ დასთანხმდა ამ აზრს და ყველა უწყებათა წარმომადგენელნიც წინააღმდეგნი გაუხდნენ.

—

ამას წინად მიტავაში გაიმართა მეფუტკრეობის გამოფენა. გამოფენაზე მონაწილეობა მიიღო აგრეთვე პეტერბურგის მეფუტკრეთა საზოგადოებამ. ექსპონატები ქრონოლოგიურ რიგზედ იყო დაწყობილი, რათა ყველას ადვილად გაეგო, რამდენად წინ წავიდა უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში მეფუტკრეობის საქმე. გამოფენაზედ, სხვათა შორის, იყო ერთი სკა კავკასიის ფუტკრისა, რომელიც უფრო სუნნელოვან თაფლს აკეთებს. გამოფენის სალიტერატურო განყოფილებისთვის გამოგზავნილი იყო მრავალი იაფ-ფასიანი წიგნი მეფუტკრეობის შესახებ. ეს წიგნაკები საზოგადოებამ მრავლად დაარიგა ხალხში. ზოგიერთ ექსპონატებმა ჯილდოდ მიიღეს ოქროს პოლუიმპერიალები და დუკატები.

—

ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს შეიმუშაოს ახალი წესდება, რომლის ძალითაც თვალ-ყური უნდა ედევნოს რუსეთის ყველა ქალაქის საკრედიტო საზოგადოებათა მოქმედებას.

—

ამ წლის დამლევს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი შესახებ იმისა, რომ მექარხნეთა და სხვა მრეწველთ პასუხი აგონ, თუ ვინიცობაა მათ საქმეზედ მუშა კაცი მოკვდა ან დაშავდა. სახელმწიფო საბჭომ განიხილა ეს კანონ-პროექტი და უკან დააბრუნა ზოგიერთ მუხლის განსამარტავად. მომავალ სესიაში სახელმწიფო საბჭო კვლავ განიხილავს ამ კანონ-პროექტს. განზრახვა აქვთ, ეს კანონ-პროექტი ჯერ-ჯერობით დამტკიცებულ იქმნას მხოლოდ დიდ ქარხნებისთვის.

## ჭადრაკი

ჯერ-ჯერობით ტარაშმა ჩიგორინს მოუგო 6 პარტია, ჩიგორინმა ტარაშს 4 და სამი პარტიაც გაყაიმდა.

## უცხოეთი

**გერმანია.** პარლამენტში უნდათ აღძრან ლაპარაკი ჰანოვერში ბანქოს მოთამაშეთა შესახებ იმ განზრახვით, რომ იმპერატორს საყვედური ათქმევინონ სამხედრო სამინისტროსადმი სასამართლოს-მიერ გამოაშკარავებულ ბოროტ-მოქმედებისა გამო. ჰფიქრობენ, რომ იმპერატორი საყვედურს გამოუცხადებს. პროცესის გათავებისათანავე. ყველა აფიცერს, ამ საქმეში გარეულს, სამაგალითო სასჯელი მოელისო.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ახალჩეხები ეხლა ძლიერ სიყვარულით ეპყრობიან მაჯარებს და თავიანთ ჟურნალ-გაზეთებში სწერენ, მაჯარებს არ უნდა ეშინოდეთ იმისი, თუ ვინიცობაა ჩეხიას ისეთივე საფედერაციო წყობილება მიენიჭა, როგორიც არის ვენგრიაშიო. ახალჩეხთა მეთაურნი ამტკიცებენ, რომ თანდათან ვრცელდება სურვილი სახელმწიფო ერთობისა ჩეხებსა და მაჯარებ შორის. მაჯარებისთვის ეს ახალი მიმართულება ახალ ჩეხთა პოლიტიკისა ძლიერ ხელსაყრელია და ძლიერ დიდის თანაგრძნობითაც ეგებებიან ჩეხების მიერ დაბეჭდილ წერილებს მაჯარებთან კავშირის შესახებ.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

ოქტომბრის 25 მიხეილის საავადმყოფოში სამი ავადმყოფი იყო.

ამ დღეს მათგან ერთი გარდაიცვალა და ერთი მორჩა.

გუშინ დილით მიხეილის საავადმყოფოში 1 ავადმყოფი იყო.

გუშინ რკინის გზის საავადმყოფოში 1 ავადმყოფი დარჩა.

### ტფილისის გუბერნია

სოფ. გართში (გორის მაზრა) 16 ოქტომბრიდგან 24-მდე ავად გახად 4 კაცი, მათგან 2 მორჩა და 2 გარდაიცვალა.

### ქუთაისის გუბერნია

ქუთაისში 10 ოქტომბრიდამ 17-მდე ავად გახდა კიდევ 2 კაცი, მორჩა 2, და გარდაიცვალა 1. ამ ჟამად ქუთაისში ხოლერით ავადმყოფი აღარ არის.

შორაპნის მაზრაში 10 ოქტომბერს 2 ავადმყოფი იყო და 17 ოქტომბრამდე ორივენი მორჩნენ. მაზრაში ხოლერა აღარ არის.

### ერევნის გუბერნია

ერევნის გუბერნიაში უკანასკნელს კვირაში ავად არავინ გამხდარა. 22 ოქტომბერს 13 ავადმყოფი დარჩა.

### სტავროპოლის გუბერნია

სტავროპოლის გუბერნიაში 16 ოქტომბერიდგან 20-დე გარდაიცვალა 3. და კიდევ ავად გახდა ერთი.

## გასართობი

ერთს ძველის დროის მოსამართლეს უოველთვის ერთი და იგივე ახირებული განაჩენი ჰქონდა ყველა დამნაშავეთათვის განმზადებული: თუ დამნაშავე ხნიერი იყო, მოსამართლე ამბობდა: «დაარჩეთ, მაგას ბევრი ავკაცობა ჩაუდენიაო“. და თუ დამნაშავე ახალგაზდა იყო, იგივე მოსამართლე ამბობდა: „დაარჩეთ, ეგ ბევრ ავკაცობას ჩაიდენსო“.

—

სულელი კაცი ძალიან მეჯავრება, ახლო ვერ მივეკარებიო! — წამოიძახა ვიღაცამ.

— საოცარი თავგაწირულობაა! — უპასუხა მოსაუბრემ.

—

პეტერბურგში რომ პირველად სახალხოდ გამოჰკიდეს კარლ ბრიულოვის სურათი «პომპეის უკანასკნელი დღე», ორი მეგობარი წავიდა ამ სურათის სანახავად.

— როგორ მოგწონს? — დაეკითხა ერთი მეორეს.

— ფიგურები კარგია, ხოლო არ ვიცი ამათში რომელი უნდა იყოს... „პომპეა“! უპასუხა მეორემ.

— მე-კი, იცი, რა მაკვირვებს, — სთქვა ისევ პირველმა: ქალაქს ცეცხლი მოსდებია და რატომ ერთი ცეცხლის ჩასაქრობი მილი მაინც არსადა სჩანს!

## გამოსადეგი ცნობა

გრაფინების წმენდა. როდესაც გრაფინებისა ანუ მინის სხვა ჭურჭლის გამორეცხა გინდოდეთ, აიღეთ კარტოფილი, დასჭერით, ჩაყარეთ გრაფინში, ჩაასხით წყალი გრაფინის ერთ-მეოთხედამდე, ცოტა ხმარ-არეული და აჭანჭყარეთ. როცა დაატყოთ, რომ გრაფინს

---

ამ მხარეების რუსეთთან შეერთების შემდეგ მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმადგენელმა საზოგადოებამ დააარსა ჯავახეთში სამი სახალხო პირველ დასაწყისი სკოლა ბარალეს ქილდას და საროში. ამ გვარად აქაურ ქართულ სოფლებში განათლების სხივი პირველად ზემოხსენებულ საზოგადოებამ შემოიტანა და დიდი ზნეობრივი გავლენაც იქონია აქაურ ქართველობაზე, რომელმაც დაჩაგრული თავი ცოტა მაღლა აიღია.

ამ ჟამად საქართველოს არც ერთ მაზრაში ხალხის განათლების საქმე არ არის ისე კარგად მოწყობილი, როგორც ამ ახალქალაქის მაზრაშია.

ეს ათი-თორმეტი წელიწადია, რაც ამ მაზრის ხალხმა განაჩენები შეადგინეს და თხუთმეტი სკოლა დააარსეს თავიანთის ხარჯით, რომლებსაც გაგებს საერო განათლების სამინისტრო და ექვემდებარება ტფილისის დირექციას. აი ეს სკოლები: არაგვისა, კარტიკამისა, ალასტნისა, ხიზაბავრისა, ბარალეთისა, განძისა, სათხისა, დილისკისა, ქილდისა, კარძახისა, ოკამისა, ვაჩიანისა, ქონდურისა, ხერთვისისა, და ეშტიასი. რადგან ასე შეიცვალა საქმე, ამიტომ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ თავისი სკოლები ამ მაზრაში გააუქმა და მხოლოდ ამ ხანებში ჩუნჩხაში მცხოვრებ ქართველებს ეთხოვათ ხსენებულ საზოგადოებისათვის დახმარება და თავისთვის სკოლა გაიმართეს რომელიც საზოგადოების ინსპეკციას ექვემდებარება. ერთს ახალ სკოლასაც სოფელ ჯანჯღაში აპირებენ და შენობაც მზადა აქვსთ, ასე რომ ეს მეჩვიდმეტე სკოლა იქნება ახალქალაქის მაზრაში.

ყველა სკოლას თითო მასწავლებელი ჰყავს, რომელთაც ეძლევათ სადგური, შეშა და ჯამაგირი ოციდგან ვიდრე ორმოც თუმნამდე. ამ მასწავლებლებს განათლება აქვთ მიღებული, ზოგს სამოსწავლო სემინარიაში და უფრო-კი სამოქალაქო სკოლებიდან არიან და მასწავლებლების ეგზამენი აქვთ დაჭერილი. სამღვთო წერილსაც, სარწმუნოების მიხედულობით ასწავლიან მღვდელი, ტერტერა და მოლა, რომელთაც ეძლევათ მარტო ჯამაგირი ხუთიდგან ვიდრე ათ თუმნამდე.

სახლი სკოლისა თითქმის ყველგან ქვითკირისაა ოთხი ოთახი, რკინით ნახური.

ორიაა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, თვითეულ ამ სოფლის სკოლებში სწავლობს 50 ყმაწვილი, რაიცა შეადგენს 800-ზედ მეტს მოსწავლეს. შესანიშნავია, რომ აქაურ სოფლის სკოლებში ქალები ძრიელ ცოტანი დაიარებიან. ეს იმითი აიხსნება, რომ მასწავლებელი ქალი, რომელიც ხელ საქმეს ასწავლიდეს არც ერთ, სკოლას არა ჰყავს. როცა ბარალეთში, ქილდაშსა და საროში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების სკოლები იყო, მაშინ თვითეულ სკოლას მასწავლებელი ქალიც ჰყავდა ხოლმე დანიშნული და ყოველთვის ან მღვდლის ცოლი ან მასწავლებლის ცოლი იქნებოდა ხოლმე, რომელთაც ხუთი თუმანი ჯამაგირი ეძლეოდათ. მე მახსოვს, ის დრო, როდესაც ქილდის სკოლაში ქალები სჯარბობდა ვაჟებს, მეტადრე როდესაც მამა ასათიანის მეუღლე ასწავლიდა ხელსაქმეს. საქმე იქამდე კარგად მიდიოდა, რომ ყოველ წლივ ლატარიით ხუთ თუმნამდე ფულს იღებდენ ქალებისგან ნაქსოვ-ნაკერ ნივთებში. ჩვენის აზრით ურიგო არ იქნებოდა დირექციასაც, საცა შესაძლებელია, ხელსაქმის მასწავლებელი ქალი დაენიშნა. მაშინ, იმედია, მსურველი სწავლისა, ქალთა შორის ძრიელ იმატებდა და მოსწავლეთა რიცხვი მთელ მაზრაში ათასამდეავიდოდა. ამ მაზრას აქვს ოთხ კლასიანი სამოქალაქო სკოლა ქ. ახალქალაქში, სადაც ორასამდე მოსწავლე სწავლობს. სამწუხაროდ, ამ სკოლასთან არ არის გამართული მოსწავლეთათვის სადგომი და ამიტომ მხოლოდ ქალაქის ახლო მდებარე სოფლები სარგებლობენ, ზოგ სოფლებიდამ თორმეტ ვერსის მანძილზედ დაიარებიან ყოველ დღე მოსწავლენი.

ზემოხსენებულ სკოლებს უნდა დავუმატოთ ახალქალაქის სომხის ეკლესიასთან გამართული ქალთა და ვაჟთა სკოლები, სადაც 300 ქალი და ვაჟი სწავლობს. მაშინ შეიძლება გამოვიანგარიშოთ % აქ მოსწავლეთა. რომ ავიღოთ მთლად ამ მაზრის და ქალაქის ბავშვები სკოლის ჰასაკისა, აღმოჩნდება, რომ ას ბავშვში 15 სწავლობს და 85 უსწავლელი რჩება, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი რომ ავიღოთ მაზრისა და ქალაქისა აღმოჩნდება, რომ მოსწავლენი $1\frac{1}{2}\%$ ძლივს შეადგენს მცხოვრებთა რიცხვისას. მაშასადამე, თუ ამ მაზრაზე ვამბობთ, რომ აქ კარგად არის სწავლის საქმეო, და რაც უნდა ბევრი ავილო, ას ყმაწვილში ოცი ძლივს სწავლობს, საინტერესოა, სხვა მაზრებში რაღა იქმნება!

მთელს მაზრას ახალქალაქისას შეაქვს 7726 და 32 კაპ. სკოლის ფული ფოსტის ფულთან ერთად.

ილ. ალხაზიშვილი

(დასასრული იქნება)

ჭუჭყი მოშორდა, დასცალეთ და სუფთა წყალი გამოავლეთ.

თუ გრაფინში წყალი დიდხანს მდგარა და როგორც ძირში ისე გვერდებზედ, ნალექი დასდებია, გრაფინის გაწმენდა ძნელია. მაშინ აი როგორ უნდა მოიქცეთ: აიღეთ ათი წილი წყალი და ერთი წილი მარილის სიმჟავე (СОЛЯНАЯ КИСЛОТА) მიუმატეთ ჩაასხით გრაფინში და აჯანჯღარეთ. ეს წამალი კარგად გაასუფთავებს გრაფინს. შემდეგ სუფთა წყალი უნდა გამოავლოთ.

—

დანა-ჩანგლის გაწმენდა. დანა-ჩანგალს იმავე წყალში ჰრეცხავენ, რომელშიაც დანარჩენი სუფრის ჭურჭელი ირეცხება, და შემდეგ აგურით, ქვიშით და ნაცრით სწმენდენ. ამ ნაირი გაწმენდა-გასუფთავება დანა-ჩანგალს აფუჭებს, ტარს აშორებს რკინას და ფოლადის გემოსაც არ უკარგავს.

უფრო კარგია დანა-ჩანგლის დაწმენდა ამ რიგად: სუფთა ყელ-განიერ ქილაში ქვიშა ჩაჰყარეთ და ცოტა წყალი მოასხით. ამ ქვიშაში ჩაარჭეთ დანა-ჩანგალი მაშინადვე, სუფრიდგან რომ აალაგოთ. როცა დაგჭირდეთ დანა-ჩანგალი, ამოიღეთ, რავდენჯერმე ისევ ჩაარჭეთ და როცა ჭუჭყი მოშორდება, ჩვრით დასწმინდეთ. რაც მალ-მალე გამოსცვლით ქვიშას, ისა სჯობია, ხოლო კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა გამოიცვალოს.

## დეპეშა

26 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ნავთის მექარხნეთა ხელ-შეკრულობა ფინანსთა მინისტრმა მოიწონა და დღეს მათგან 60%-მა უკვე ხელი მოაწერა. დანარჩენებიც ბაქოში მოაწერენ ხელს.

დღეს პირველი კრებაა რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა. მსჯელობა აქვთ იმის შესახებ, რომ მოგზაურთა ტარიფი შეიცვალოს და გათანაბრდეს საზღვარ გარედ გასაგზავნ სპირტის ტარიფი.

საზღვარ გარეთის გაზეთებმა გულმხურვალებით დაწერილი წერილები უძღვნეს ჩაიკოვსკის და კეთილად მოიხსენიეს მისი მოღვაწეობა.

პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,60 | 7,62 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 152 | 152 3/4 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 244 |
| —მეორისა . . . . . | 218 | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 193 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | 99 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 100 | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | 99 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 98 |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ.
ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო სსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასრკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


## განცხადებანი

### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—118)





„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ხ. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმ მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ი. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |

—


## „ჩ ი კ ა გ ო“

წინანდელი სასტუმრო „დ ა ნ ი ა“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად **„ჩიკაგო“**

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

### ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი
(25—1018—6)

## გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა
(გუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცეუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## ქალთა ტუალეტისათვის



**БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ**
**Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.**

იხმარება პირის-სახისა, კანისა და ხელის დასაბანად.

ამ ბალზამის მომზადების დროს ყურადღება იმასა ჰქონდა მიქცეული, რომ კანის მავნებელი წამალი არ შერეოდა.

ფასი ფლაკონისა 1 მ. 65 კ.

ბენზოევის საპნის თითო ნაჭერი 35 და 50 კ., ოპო-პომადა (კოლდ-კრემსა სჯობია) 1 მან.

შეხვევა და გაგზავნა რუსეთს 70 კ., აზიაში 1 მ.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის В. Аурихъ, въ С.-Петербургѣ, Колокольная, 18—19.

იშოვება ყველა სააფთიაქო და პარფიუმერიის მაღაზიებში და ზოგ აფთიაქებშიაც რუსეთში.



**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель **А. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.


Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Октября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე